

ასათიანი ნ.,¹ თოდაძე ხ.²

ეფედრონის ჯგუფის კუსტარულად დამზადებული ფსიქოსტიმულატორების მომხმარებელთა აფექტური დარღვევები და მათი ცვლილება მკურნალობის პროცესში პრეპარატ “თიოგამას” ჩართვის შედეგად

¹ ნარკოლოგიური კლინიკა „ნეოგენი“; ² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ნარკოლოგიის დეპარტამენტი

საკითხის აქტუალობა

დღესდღეობით მსოფლიოში მასტიმულირებელი ჯგუფის ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და მზარდ პრობლემას წარმოადგენს.

აშშ-ს ნარკოტიკების მოხმარების ნაციონალური ინსტიტუტის (NIDA) მონაცემებით, 2014 წელს, მსოფლიოში კოკაინის მომხმარებელთა რაოდენობა 1,5 მილიონს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ კოკაინის მომხმარებელთა რიცხვმა ბოლო ხანებში შედარებით დაიკლო (2002-2007 წლებში მათი რაოდენობა 2,0– 2,4 მილიონამდე მერყეობდა), თუმცა გაიზარდა სხვა სტიმულატორების (ამფეტამინები, მეტამფეტამინები) მოხმარების სიხშირე. იგივე ინსტიტუტის მონაცემებით, 2014 წელს სინთეზური სტიმულატორების _ მეტამფეტამინებისა და ამფეტამინების მომხმარებელთა რაოდენობამ 1,6 მილიონს მიაღწია, რომელთაგან 569,00 ადამიანი მეტამფეტამინებს მოიხმარდა. გასათვალისწინებელია, რომ 2014 წელს დაფიქსირებული მასტიმულირებელი ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მონაცემებს [1].

დიდია სტიმულატორების არასამედიცინო მიზნით მოხმარებით გამოწვეული ზიანი. 2011 წელს ნარკოტიკებით გამოწვეული გართულებების გამო გაწეული გადაუდებელი დახმარების 8,2 % დაკავშირებული იყო მეტამფეტამინების მავნედ მოხმარებასთან. 2014 წელს კოკაინის ზედოზირებით მსოფლიოში 5,500 ადამიანი გარდაიცვალა (2). აშშ-ს ნარკოტიკების მოხმარების ნაციონალური ინსტიტუტის (NIDA) მონაცემებით, აშშ-ში კოკაინით გამოწვეული სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2010 წელს, 2010 წლიდან 2015 წლამდე კი ეს ციფრი 1,6-ჯერ გაიზარდა (3).

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, არასამედიცინო მიზნით, ძირითადად ქარხნული წესით ან არალეგალურ ლაბორატორიებში დამზადებულ სტიმულატორულ ნარკოტიკებს – კოკაინს, ამფეტამინებს და მეტამფეტამინებს მოიხმარენ, საქართველოში კი, უკანასკნელი წლების მანძილზე, შეიმჩნევა სახლის პირობებში, კუსტარული წესით დამზადებული ფსიქოსტიმულატორების მომხმარებელთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია.

დღესდღეობით საქართველოში ნარკოტიკული ეფექტის მისაღებად მოიხმარენ ორ ძირითად კუსტარულ ფსიქოსტიმულატორს, ჟარგონულ ენაზე მათ „ჯეფს“ და „ვინტს“ უწოდებენ. ზემოაღნიშნული ნარკოტიკების მიღება ხდება ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა ან ფენილპროპანოლამინის ჰიდროქლორიდის (ნორეფედრინი) შემცველი, ძირითადად, გაციების საწინააღმდეგო

მედიკამენტების (რომელთა გაცემა, ხშირად, რეცეპტის გარეშე ხდება) გარკვეული ქიმიური კომპონენტებით დამუშავების შედეგად. „ვინტის“ შემთხვევაში ადამიანზე, ძირითადად, ტოქსიკურად მოქმედებს მასში შემავალი ალფაიოდ-პერვიტინი (მეტამფეტამინების ჯგუფის მასტიმულირებელი ნარკოტიკი), „ჯეფის“ შემთხვევაში კი, ეფედრონის გარდა, მოქმედებს კალიუმის პერმანგანატი, რომელიც წარმოადგენს აგრესიულ ნეიროტროპულ ტოქსინს. სწორედ ამ ორმხრივი ტოქსიკური გავლენით არის განპირობებული „ჯეფით“ ნარკოტიზაციის მეტად ავთვისებიანი მიმდინარეობა-დამოკიდებულების სწრაფი ფორმირება, მაღალი პროგრესიულობა, მნიშვნელოვანი ფსიქო-სომატური აშლილობების, ასევე ძლიერი, თითქმის შეუქცევადი ნევროლოგიური დარღვევების განვითარება და, რაც მთავარია, ტოქსიკური ენცეფალოპათიის სწრაფი ფორმირება. ტოქსიკური (ეფედრონული) ენცეფალოპათია მძიმე ნევროლოგიური დარღვევებით ვლინდება და ხასიათდება პარკინსონიზმით, რომელიც არ პასუხობს ლევოდოფას შემცველი პრეპარატებით მკურნალობას, გამოხატულია დისტონია, პოსტურალური არამდგრადობა, მეტყველებისა და სიარულის მოშლა.

კუსტარული ფსიქოსტიმულატორ „ჯეფით“ ნარკოტიზაცია, განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობისთვის, მისი დამზადებისთვის საჭირო მედიკამენტების ხელმისაწვდომობის, სიაფის, დამზადების მარტივი და ხანმოკლე ტექნოლოგიისა და მიღებული ნარევის უძლიერესი ნარკოგენული და ტოქსიკური ეფექტის გამო. ტოქსიკური (ეფედრონული) ენცეფალოპათიისთვის დამახასიათებელია მძიმე, თითქმის შეუქცევადი ნევროლოგიური დარღვევების, აფექტური აშლილობების და კოგნიტური დარღვევების განვითარება. საბოლოოდ, ზემოაღნიშნული იწვევს მომხმარებლების ინვალიდიზაციასა და მათი ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან დაქვეითებას.

სიტუაციას განსაკუთრებით ართულებს ის რომ, თანამედროვე ნარკოლოგიას არ გააჩნია ეფედრონისა და კალიუმის პერმანგანატის შემცველი პრეპარატების მოხმარებით გამოწვეული დამოკიდებულების სპეციფიკური მკურნალობის საშუალებები. ამიტომ ასეთი პაციენტების თერაპიით დადებითი შედეგის მიღება უფრო იშვიათია, ვიდრე წამალდამოკიდებულების სხვა სახეების დროს, მაგ. ოპიატური ნარკომანიის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ წამალდამოკიდებულების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, კუსტარული ფსიქოსტიმულატორ „ჯეფის“ მოხმარების შეწყვეტის შემდეგ პაციენტების მდგომარეობა ხშირად არ უმჯობესდება, ზოგიერთ შემთხვევაში ნევროლოგიური სიმპტომატიკა სტაბილურდება, შესაძლოა უმნიშვნელოდ რეგრესირდეს, თუმცა უმეტესად პროგრესირებას განაგრძობს. ამასთან, ზემოჩამოთვლილი დარღვევები მომავალში რეციდივის განვითარების მიზეზად გვევლინება.

კვლევის მიზანი:

ეფედრონის ჯგუფის კუსტარულად დამზადებული ფსიქოსტიმულატორების მომხმარებელთა აფექტური დარღვევების შეფასება და

მკურნალობის პროცესში პრეპარატ “თიოგამას” ჩართვისას მათი ცვლილების შესწავლა.

კვლევის მასალა და მეთოდები:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ნარკოლოგიურ კლინიკა “ნეოგენში” ეფედრონული (იგულისხმება „ჯეფი“) აღკვეთის მდგომარეობით სტაციონირებულმა 35–მა პაციენტმა, ასაკი 20-65 წ, სქესი – მამრობითი. კვლევისთვის პაციენტების შერჩევა და დიაგნოსტიკა ხდებოდა ICD-10-ით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით. კვლევა ტარდებოდა ბიოეთიკური პრინციპების გათვალისწინებით, ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

პაციენტები დაყოფილი იყო ორ ძირითად ჯგუფად: I - ძირითადი საკვლევი ჯგუფი – დიაგნოზი: ეფედრონის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი. აღკვეთის მდგომარეობა. ეფედრონული ენცეფალოპათია. ამ ჯგუფში სტანდარტულ მკურნალობასთან ერთად თერაპიაში ჩართული იყო პრეპარატი “თიოგამა” 600 მგ დღიური დოზით. მათ მედიკამენტი თავდაპირველად ინტრავენურად წვეთოვნად, შემდეგ კი ტაბლეტირებული ფორმით მიეწოდებოდათ. II - საკონტროლო ჯგუფი - დიაგნოზი: ეფედრონის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი. აღკვეთის მდგომარეობა. ეფედრონული ენცეფალოპათია. სტანდარტულ მკურნალობაში ჩართული იყო პლაცებო პრეპარატი. I ჯგუფში გაერთიანდა- 20 პაციენტი, II ჯგუფში კი – 15.

საკვლევი ჯგუფების ყველა პაციენტის აფექტური დარღვევები შეფასდა ბეკის დეპრესიის საზომი სკალისა და სპილბერგერის სიტუაციური და პიროვნული შფოთვის საზომი სკალის საშუალებით. შეფასება ხდებოდა მკურნალობის დაწყებამდე და მკურნალობის ერთთვიანი კურსის შემდეგ. კვლევის შედეგები: კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მკურნალობის დაწყებამდე ორივე საკვლევი ჯგუფის პაციენტების 40%-ს გამოუვლინდა მსუბუქი დეპრესია, 10%-ს საშუალო, 35%-ს – საშუალოზე მაღალი, ხოლო პაციენტების 15%-ს დეპრესიული სიმპტომატიკა არ აღენიშნებოდა. მკურნალობის შედეგად I - ძირითადი საკვლევი ჯგუფის პაციენტების 50%-ს დეპრესიული სიმპტომები არ აღენიშნებოდა, 40%-ს გამოუვლინდა მსუბუქი დეპრესია, 5%-ს – საშუალო, 5 %-ს კი – საშუალოზე მაღალი. მკურნალობის შედეგად II - საკონტროლო ჯგუფის პაციენტების 25%-ს დეპრესიული სიმპტომები არ გამოუვლინდა, 40%-ს აღენიშნა მსუბუქი დეპრესია, 25%-ს – საშუალო, 10%-ს – საშუალოზე მაღალი.

მკურნალობის დაწყებამდე ორივე საკვლევი ჯგუფის პაციენტების 45%-ს აღენიშნებოდა საშუალო პიროვნული შფოთვის დონე, 55%-ს კი გამოუვლინდა მაღალი პიროვნული შფოთვის დონე. მკურნალობის შედეგად I-ძირითადი საკვლევი ჯგუფის პაციენტების 60%-ს აღენიშნებოდა დაბალი პიროვნული შფოთვის დონე, 20%-ს – საშუალო, ხოლო 20%-ს – მაღალი პიროვნული შფოთვის დონე. სტანდარტული მკურნალობის შედეგად II-საკონტროლო ჯგუფის პაციენტების 35%-ს აღენიშნებოდა დაბალი პიროვნული შფოთვა, 45%-ს – საშუალო, ხოლო 20 %-ს - მაღალი პიროვნული შფოთვის დონე.

მკურნალობის დაწყებამდე ორივე საკვლევი ჯგუფის პაციენტების 35%-ს აღენიშნებოდა დაბალი სიტუაციური შფოთვის დონე, 45%-ს საშუალო და 20%-ს მაღალი სიტუაციური შფოთვის დონე. მკურნალობის შედეგად I ძირითადი საკვლევი ჯგუფის პაციენტების 80%-ს აღენიშნებოდა დაბალი პიროვნული შფოთვის დონე, 15 %-ს საშუალო, ხოლო 5%-ს მაღალი პიროვნული შფოთვის დონე. მკურნალობის შედეგად II საკონტროლო ჯგუფის პაციენტების 60%-ს გამოუვლინდა დაბალი პიროვნული შფოთვის, 30%-ს საშუალო და 10 %-ს მაღალი პიროვნული შფოთვის დონე.

დასკვნა:

კვლევის მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ეფედრონის ჯგუფის კუსტარულად დამზადებული ფსიქოსტიმულატორების (“ჯეფი”) მოხმარებლებს აღენიშნებათ აფექტური აშლილობანი. კვლევის შედეგად, მკურნალობის დაწყებამდე, გამოვლინდა მსუბუქი, საშუალო და საშუალოზე მაღალი დეპრესიის მაჩვენებლები; მძიმე დეპრესია არცერთ გამოკვლეულ პაციენტს არ აღენიშნებოდა. კვლევამ ასევე გამოავლინა საშუალო და მაღალი პიროვნული შფოთვის მაჩვენებლები, ასევე დაბალი, საშუალო და მაღალი სიტუაციური შფოთვის მაჩვენებლები.

მკურნალობის შედეგად ორივე საკვლევი ჯგუფის პაციენტებს აღენიშნებათ დადებითი დინამიკა დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლების ცვლილების თვალსაზრისით, თუმცა გაუმჯობესება გაცილებით მეტად გამოიხატა I-ძირითადი საკვლევი ჯგუფის პაციენტებში, რომელთა მკურნალობის პროცესში სტანდარტულ მედიკამენტებთან ერთად ჩართული იყო პრეპარატი “თიოგამა”. ზემოაღნიშნული შედეგები მიუთითებს პრეპარატ “თიოგამას” ეფექტურობაზე კუსტარული ფსიქოსტიმულატორების (“ჯეფი”) მოხმარებით გამოწვეული დარღვევების მკურნალობისას.

ლიტერატურა:

1. Bethesda, MD: National Institute on Drug Abuse, September 2014. <http://www.drugabuse.gov/sites/default/files/cewgjune2014.pdf>;
2. DRUGABUSE.COM-Lauren Brande, MA, 2014;
3. NIDA- Overdose Death Rates; September 2017;
4. Toxic Encephalopathy, Yangho Kim and Jae Woo Kim, 2012 Dec, 3;
5. Schmidt T, Dalubaeva D. Anniversary Collection: Diagnostic and Treatment of Neurological Diseases. W. Medicine Moscow; Russia: 1990. Neurological complications of ephedrone drug abuse (ephedrone encephalopathy) pp. 183–86;
6. Sanotsky Y, Lesyk R, Fedoryshyn L, et al. Manganic encephalopathy due to “ephedrone” abuse” *Mov Disord.* 2007;22(9):1337–43;
7. Colosimo C, Guidi M. Parkinsonism due to ephedrone neurotoxicity: a case report. *Eur J Neurol.* 2009;16(6):114–15;
8. Myoelicka D, Zuk M, Dziurkowski M. Ephedron dependence – case report. *Psychiatr Pol.* 2011;45(1):79–85;
9. Bowman A, Kwakye G, Hernandez E, et al. Role of manganese in neurodegenerative diseases. *JTrace Elem Med Biol.* 2011;25(4):191–203;

10. Lewin OS. "Ephedrone" encephalopathy" Zh Nevrol Psikhiatr Im S S Korsakova. 2005;105(7):12–20;

11. Meral H, Kutukcu Y, Atmaca B, et al. Parkinsonism caused by chronic usage of intravenous potassium permanganate. Neurologist. 2007;13(2):92–94.

Asatiani N.¹, Todadze Kh²

INVESTIGATION OF AFFECTIVE DISORDERS AND THEIR DYNAMICS IN ABUSERS OF HOME-MADE STIMULANTS OF EPHEDRONE GROUP DURING TREATMENT WITH TIOGAMA.

¹ NARCOLOGICAL HOSPITAL "NEOGENI"; ²TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY, DEPARTMENT OF NARCOLOGY

Narcotization with homemade psychostimulant "Jeff" is a significant threat to the population of Georgia in the recent years, due to availability of medicines necessary for preparation, low price, simple, short-term technology of production and the strongest narcotic and toxic effect of the received mixture. A toxic (ephedrone) encephalopathy is characterized by the development of severe, almost irreversible neurological, affective and cognitive disorders, resulting in the disability of users of this homemade stimulants and a significant decline in their quality of life. The goal of our investigation was study of affective disorders in the users of homemade stimulants of ephedrone group and assess their changes in case of inclusion medication Thiogamma in the standard treatment process. 35 patients, aged 20-65, of male gender, who were hospitalized in the clinic Neogen after cessation of Epodhrone ("Jeff") have been investigated. Patients were selected and diagnosed according to criteria provided by ICD-10. The study was carried out in accordance with the Biotech principles, based on the informed consent. 35 Patients with diagnosis: mental and behavioral disorders caused by the use of ephedrine, withdrawal syndrome, ephedrone encephalopathy, were selected in two groups. Main study group-I _ during standard treatment was included medication Thiogamma, 600 mg daily dose, initially by drip-feed and then in tablet form. Control group-II - The standard treatment included a placebo drug. Before the start of treatment and after 1 month, affective disorders of all patients were measured by Beck's Depression Scale and Spilberger's situational and personal anxiety scale. Before treatment patients from both study groups have shown mild, moderate and higher than moderate levels of depression; no patient has shown severe depression. The moderate and high personal anxiety, as well as low, moderate and high situational anxiety indexes were shown. As a result of treatment, patients in both groups had got positive dynamics in terms of changes in depression and anxiety level, but the improvement is more evident in patients from the main study group-I, whose treatment involved the preparation Thiogamma along with the standard medications. The above mentioned results indicate the effectiveness of the preparation Thiogamma in the treatment of disorders caused by the use of homemade stimulants ("Jeff").